899.962.1(03)
ბ-391

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ირმა კონსტანტინეს ასული ბაქარაია

გიორგი ერისთავი ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში (1832 – 1917 წ.წ.)

10.01.01 – ქართული ლიტერატურა

ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებელი დისერტაციისა

თბილისი
1999

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი:	ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ო. ჭურღულია
ექსპერტი:	ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რ. სირაძე
ოფიციალური ოპონენტები:	1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლ. ბოჩკოვა-ხვიჩია 2. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი მ. ბორდელაძე
წამყვანი ორგანიზაცია	აკ. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1999 წლის 4 ივნისს 12 საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული P10.01.C№2 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №1.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 29 აპრილს 1999წ.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ნ. ტაბიძე

-1638-

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. გიორგი ერისთავი ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მრავალმხრივი და ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა. ქართული ლიტერატურისა და კულტურის ისტორიაში გ. ერისთავმა სახელი დაიმკვიდრა როგორც პოეტმა, დრამატურგმა, პროფესიული თეატრის დამფუძნებელმა, ჟურნალ „ცისკრის“ დამაარსებელმა და რედაქტორმა. მის სახელთან არის დაკავშირებული ასევე რეალიზმის, როგორც ლიტერატურული მიმართულების, პირველი ნაბიჯები ქართულ მწერლობაში. გ. ერისთავმა დრამატურგთა მთელი სკოლა შექმნა. მან დიდი წვლილი შეიტანა ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებაში.

გ. ერისთავის შემოქმედებისადმი ინტერესი ლიტერატურულმა კრიტიკამ მწერლის სიცოცხლეშივე გამოამჟღავნა. გამოითქვა არაერთი შეხედულება. ძირითადად პოზიტიური ხასიათის. ამასთან, მისი მხატვრული მემკვიდრეობა და თეატრალური თუ ჟურნალისტური მოღვაწეობა ხშირად ურთიერთგამომრიცხავ შეფასებათა ობიექტიც იყო.

გ. ერისთავის შემოქმედების სრულყოფილად გასაშუქებლად და ღრმად გასააზრებლად უდავოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება 1832 - 1917 წლებში მწერლის შესახებ არსებული კრიტიკული ნააზრევის თავმოყრას, შესწავლასა და მეცნიერულ ანალიზს.

საკვლევი პრობლემის შესწავლის დონე. გ. ერისთავის შემოქმედების შესწავლის მიზნით 1832-1917 წლებში დაიწერა არაერთი კრიტიკული წერილი, გამოკვლევა. დაგროვდა დიდძალი მასალა, მაგრამ ეს მასალა დღემდე არ იყო სისტემაში მოყვანილი, იგი დღემდე არ გამხდარა საფუძვლიანი განხილვის საგანი.